USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | HICD PLUS HUMAN AND INSTITUTIONAL CAPACITY DEVELOPMENT

რეგიონული მედიის გაძლიერება ინფორმირებული ადგილობრივი საზოგადოებისთვის

შემოსავალი რეკლამის გაყიდვიდან ქართულ რეგიონულ ტელევიზიებს საზოგადოების ინფორმირებაში ეხმარებათ.

ფოტო: საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია

USAID HICD PLUS-ი საჯარო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარებისთვის მუშაობს.

ეს ჩვენი ისტორიაა
ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტო
ვაშინგტონი, 20523-1000
http://stories.usaid.gov

„ამ თანხების გარეშე ჩვენ ვერ გავაგრძელებდით მუშაობას და შევწყვეტდით მაუწყებლობას. ჩვენი ტელე-პროგრამები კი მაყურებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ჭიათურაში და საჩხერეში ვმაუწყებლობთ, ასევე ვფარავთ ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილს“ აცხადებს რამაზ გამეზარდაშვილი, ტელეკომპანია იმერვიზიის დირექტორი, სარეკლამო დროის გაყიდვიდან მიღებული სარგებელის მნიშვნელობის განმარტებისას.

მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რეგიონული მაუწყებლების როლი მოსახლეობის ინფორმირების კუთხით, ეს ტელევიზიები საქართველოში ერთერთ ყველაზე დაბალშემოსავლიან ბიზნეს სექტორს წარმოადგენს და არასათანადო ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობებითა და ფინანსური რესურსებით გამოირჩევა. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონული მედიისა და სიტყვის თავისუფლების განვითარებას, მოახდინოს ადვოკატირება და დაიცვას რეგიონულ მაუწყებელთა უფლებები. თუმცა ასოციაცია თავადაც მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე იმყოფება.

USAID-ის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და მედიის თავისუფლებას. რეგიონული ტელევიზიების დასახმარებლად, USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტმა, 2012 წლის ზაფხულში რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის დასახმარებლად აქტიური მუშაობა დაიწყო. პროგრამის მიზანი იყო ასოციაციის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება.

ასოციაციის ფინანსური გაძლიერების საუკეთესო გზა რეგიონული მაუწყებლების სარეკლამო დროის გაყიდვიდან შემოსავლის მიღებაა. ამ მიმართულებით ასოციაციის დასახმარებლად, HICD PLUS-მა განახორციელა და ასოციაციას გადასცა: რეგიონული სარეკლამო ბაზრის კვლევა; ასოციციის მარკეტინგული სტრატეგია, ფინანსური გაანგარიშება და რეკლამის გაყიდვისა და წევრებს შორის მოგების გადანაწილებისათვის აუცილებელი სხვა პრაქტიკული საშუალებები. პროგრამის შედეგებმაც არ დააყოვნა და რამოდენიმე თვეში ასოციაციამ პირველი გაყიდვები განახორციელა, რამაც ორგანიზაციას და მის წევრებს $77,000-ის ოდენობის მოგება მოუტანა. აღნიშნული თანხა HICD PLUS-ის ინტერვენციის საერთო ღირებულებასსამჯერ აღემატება, რაც USAID-ის პირველად ინვისტიციაზე 3:1 ამონაგებს წარმოადგენს.

გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლით რამენიმე რეგიონულმა ტელევიზიამ შეძლო ახალი სატელევიზიო პროგრამების დამზადება და არსებული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება. მაია იველაშვილი, ახალციხის ტელევიზიის დირექტორი აღნიშნავს: ,,ჩვენი კომპანია მაუწყებლობს ეთიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში, 2012 წელს წინასაარჩვენო პერიოდში სწორედ რეკლამის გაყიდვიდან მიღებული თანხებით, მოგვეცა საშუალება სომხურენოვანი მოსახლეებისთვის, განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ინფორმაცია არჩვენების შესახებ მიგვეწოდებინა მათთვის გასაგებ ენაზე.“